აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 3

3 აგვისტო 2012 წელი ქ. ბათუმი

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე, თამარ ხოზრევანიძე, რამაზ ბოლქვაძე, ავთანდილ ჩახვაძე, ლილე ტეტემაძე და ნანა დავითაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა მიესალმა კომისიის წევრებს და აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საარჩევნო პერიოდში უსკოს 7 წევრს ნიშნავს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-13 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები, რომელთა გადაწყვეტილებაც უსკოს წევრის დანიშვნის თაობაზე უნდა წარედგინო უსკოს არჩევნების დანიშვნიდან 3 კალენდარული დღის ვადაში რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ კომისიას ცნობის სახით გააცნო პოლიტიკური პარტიების მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული (02.08.12 წ.) წევრი რამაზ ბოლქვაძე, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის მიერ დანიშნული (03.08.12 წ.) წევრი ნანა დავითაძე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის“ მიერ დანიშნული (03.08.12 წ.) წევრი ლილე ტეტემაძე და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან დემოკრატიული პარტიის“ მიერ დანიშნული (03.08.12 წ.) წევრი ავთანდილ ჩახვაძე, შემდეგ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი და კომისიას შესთავაზა დღის წესრიგში ცვლილების შეტანა. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უსკო განკარგულებით ადგენს მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალურ ოდენობას ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატისათვის. მ/წ 1 აგვისტოს უსკოს მიერ ცესკოზე გაგზავნილი იქნა წერილი აჭარის ა.რ. ტერიტორიაზე თითოეული ოლქების

მიხედვით რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ რადგანაც უსკოს მიერ დადგენილი უნდა იქნას მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატებისათვის. მ/წ 03 აგვისტოს ცესკოს მიერ მოწოდებული იქნა ხსენებული ინფომაცია რის თანახმადაც შესაძლებელია კომისიის მიერ დადგენილი იქნას ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის საარჩევნო ოლქში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის ხელმოწერების მინიმალური ოდენობა და კომისიას წარუდგინა დღის წესრიგში შესატანი საკითხი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატისათვის მხარდამჭეთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის ცვლილებით დამტკიცებასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება - უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ;

2. განკარგულება - უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ;

3. განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ;

4. განკარგულება - ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ;

5. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის სადეპოზიტო ანგარიშის დადგენისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის მიერ უსკოს ანგარიშზე დეპოზიტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ;

6. განკარგულება - უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნებისათვის შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ;

7. განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არჩევნების პერიოდში დანამატის გაცემის შესახებ;

8. განკარგულება – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატისათვის მხარდამჭეთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

1. დადგენილება
უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი:

შრომის ანაზღაურება - 414800 ლარი;
საქონელი და მომსახურება - 692800 ლარი;
არაფინანსური აქტივები – 35100 ლარი;
სულ – 1 142700 ლარი.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. **განკარგულება**
უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი მან აღნიშნა, რომ არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად უსკო-ს მიერ შემუშავებული იქნა საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი, სადაც გაიწერა არჩევნებთან დაკავშირებით ყველა პროცედურა და ვადები არჩევნების დაწყების დღიდან მის დასრულებამდე. ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი განკარგულებით უნდა დამტკიცდეს უსკოს მიერ. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების საარჩევნო

ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად უსკო განკარგულებით ამტკიცებს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს. მან აღნიშნა, რომ იმ პარტიებისათვის ვინც უმაღლეს საბჭოს არჩევნებში გადაწყვეტს მონაწილეობის მიღებას და რეგისტრაცია არ აქვს გავლილი ცესკო-ში, აუცილებელია წარმოადგინოს კანონით დადგენილი მხარდამჭერთა ხელმოწერები, რისთვისაც საჭიროა უსკოს მიერ დამტკიცდეს მხარდემჭერთა სიის ბლანკი, ასევე ისაუბრა საარჩევნო

პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობის შესახებ, რომელიც პარტიის წარმომადგენელს უნდა გადაეცეს უსკოში პარტიის მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) პარტიის მხარდამჭერთა სიის ბლანკი (ფორმა №3-07.01.04);
ბ) პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობა (ფორმა №6-07.02.04);
გ) საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიის ბლანკი (ფორმა №3-07.02.01.);
დ) საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მოწმობა (ფორმა №6-07.03.01);
ე) უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის სააღრიცხვო ბარათი (ფორმა №4-07.23.03).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება
ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძე კომისიის წევრებს წარუდგინა ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ უსკომ აჭარის ა. რ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სთხოვა იმ დაწესებულებათა ჩამონათვალის შესახებ ინფომაციის მოწოდება, რომელებიც ეფექტურად შეძლებენ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარებას. სამინისტრომ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა ნარკოლოგიური შემოწმების ეფექტურად ჩატარება შესაძლებელია შპს „ნარკოლოგიურ ცენტრში“

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ 39-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 40-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 72-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 პუნქტების, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2012 წლის 3 აგვისტოს №01-19/842 წერილის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის

ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლება მიენიჭოს შპს „ნარკოლოგიური ცენტრი“ (მის: ქ. ბათუმი, ხახულის ქ. № 2).

2. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიასთან და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიერ უსკოს მიერ მითითებულ ანგარიშზე 5000-ლარიანი დეპოზიტის განთავსების დამადასტურებელი საბანკო დოკუმენტთან ერთად, უნდა წარუდგინოს ცნობა კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ კანდიდატი ჯამრთელია ან ნარკოტიკების მომხმარებელია.

3. პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენის შემთხვევაში, კანდიდატის სააღრიცხვო ბარათთან და ფოტოსურათთან ერთად უსკოში წარდგენილ უნდა იქნას ცნობა კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ კანდიდატი ჯამრთელია ან ნარკოტიკების მომხმარებელია.

4. კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიების/საარჩევნო ბლოკების პარტიული სიიდან სავარაუდოდ არჩეულმა ყველა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატმა გარდა პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატისა უნდა გაიაროს ნარკოლოგიური შემოწმება.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს ნარკოლოგიური შემოწმების გავლის უფლება აქვს ამ განკარგულების პირველი მუხლით განსაზღვრულ დაწესებულებაში.

6. დაევალოს ამ განკარგულების პირველი მუხლით განსაზღვრულ დაწესებულებას, კენჭისყრიდან არაუგვიანე მე-14 დღისა, უსკოში წარმოადგინოს წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიების/საარჩევნო

ბლოკების პარტიული სიიდან სავარაუდოდ არჩეული ყველა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესახებ ნარკოლოგიური შემოწმების დამადასტურებელი ცნობა, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ კანდიდატი ჯამრთელია ან ნარკოტიკების მომხმარებელია და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩეულ წევრთა სია, რომლებმაც გაიარეს ნარკოლოგიური შემოწმება.

7. დაევალოთ:
ა) საორგანიზაციო სამსახურს (ლ. ჩავლეიშვილს) ამ განკარგულების პირველი მუხლით განსაზღვრული დაწესებულებისათვის და საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის ამ განკარგულების გაცნობა.

ბ). საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. ნაკაშიძე) ამ განკარგულების საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნება.

8. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

9. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სადეპოზიტო ანგარიშის დადგენისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის მიერ უსკოს ანგარიშზე დეპოზიტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძე კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის სადეპოზიტო ანგარიშის დადგენისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის მიერ უსკოს ანგარიშზე დეპოზიტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საარჩევნო კომისიის სადეპოზიტო ანგარიშის დადგენისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი

მაჟორიტარი კანდიდატის მიერ უსკოს ანგარიშზე დეპოზიტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 40-ე მუხლის მე-7 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სადეპოზიტო ანგარიშის დადგენისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის მიერ უსკოს ანგარიშზე დეპოზიტის განთავსების წესი“ დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს საორგანიზაციო სამსახურს (ლ. ჩავლეიშვილი) ამ განკარგულების საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გაცნობა.

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. ნაკაშიძე) ამ განკარგულებით განსაზღვრული სადეპოზიტო ანგარიშის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება პრესითა და მასობრივის ინფორმაციის სხვა საშვალებებით.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება
უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნებისათვის შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძე კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნებისათვის შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნებისათვის შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-12 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. საარჩევნო პერიოდში უმაღლეს საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს №4 განკარგულებით დამტკიცებულ №1 დანართით გათვალისწინებული შესაბამისი თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

2. განისაზღვროს საარჩევნო პერიოდში დამხმარე მოსამსახურეების და შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობა და სახელფასო განაკვეთი თანახმად №1 დანართისა.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტი ამოქმედდეს უმაღლეს საბჭოს 2012 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით.

4. ამ განკარგულების მე-2 პუნქტი ამოქმედდეს უმაღლეს საბჭოს 2012 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 3 (სამი) თვის ვადით.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არჩევნების პერიოდში დანამატის გაცემის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძე კომისიის წევრებს წარუდგინა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არჩევნების პერიოდში დანამატის გაცემის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არჩევნების პერიოდში დანამატის გაცემის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 9;
წინააღმდეგი 1;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-12 მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში, 2012 წლის 2 აგვისტოდან

სამი თვის განმავლობაში ყოველთვიურად, გასაცემი დანამატის ოდენობა განისაზღვროს თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს უსკო-ს აპარატის ეკონომიკურ სამსახურს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატისათვის მხარდამჭეთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძე კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატისათვის მხარდამჭეთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატისათვის მხარდამჭეთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ” ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 აგვისტოს №114/2012 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა დანართით გათვალისწინებულ ხელმოწერათა მინიმალური რაოდენობებით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია